

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1152

კონკურსი N 1000

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 01. 11. 2013 წ.

ერთის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №10

(შემდგომში „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ – შ.პ.ს. „ელ ჯორჯია“, მის: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3. 2 მ/რ. კორპ. 25ა. ბინა 6;

(შემდგომში „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა კონკურსი: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე.

(სამუშაოს მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე:

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება: 21000.00 (ოცდაერთი ათასი) ლარი.

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

**წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
  - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
  - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება;
  - გ) მომსახურების გაწვევის ვადები;
  - დ) საკონკურსო განცხადებასთან თანდართული ტექნიკური პირობები;

- ე) ტექნიკური პირობები;
- ვ) ხელშეკრულების საერთო პირობები;
- ზ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები.

**შემსყიდველი ორგანიზაცია:**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

**მიმწოდებელი ორგანიზაცია:**

შ.პ.ს. "ელ ჯორჯია"

საბანკო რეკვიზიტები:

ს/კ: 406 042 036

სს "თი ბი სი ბანკი" TBCBGE22

ა/ა: GE83 TB72 9793 6080 1000 01

შსს სახელმწიფო შესყიდვების  
სამმართველოს უფროსი



შ.პ.ს. "ელ ჯორჯია"-ს  
დირექტორი



## ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისი გ. გულუას ქ. №10. (შემდგომში შემსყიდველი)

მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ელ ჯორჯია", მის: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3. 2 მ/რ. კორპ. 25ა. ბინა 6;

(შემდგომში მიმწოდებელი)

### 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის N4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) 4 სექტორზე (იორი, პანტიშარა, ბურუმკახი, მლაშე წყალი) ელექტრო მომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაოების შესყიდვა;

შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

- ზემოთ ჩამოთვლილ თვითოეულ სექტორზე მინიმალური 30 კვტ/სთ. ელექტრო ენერჯის მიწოდების პროექტირება;
- დასაპროექტებელი ხაზის სავარაუდო მანძილი შეადგენს 150-200 კილომეტრს (დასამტკიცებელი ტექნიკური პირობიდან გამომდინარე), პრეტენდენტმა კახეთის ენერჯოლისტირბუციასთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყოს მაღალი ძაბვის მოწოდების საწყისი წერტილის განსაზღვრა;
- №3 სექტორიდან (იორი) №4 სექტორამდე (პანტიშარა) სავარაუდო კილომეტრაჟი (საავტომობილო გზის მიხედვით) შეადგენს 18 კილომეტრს;
- №4 სექტორიდან (პანტიშარა) №5 სექტორამდე (ბურუმკახი) სავარაუდო კილომეტრაჟი (საავტომობილო გზის მიხედვით) შეადგენს 24 კილომეტრს;
- №5 სექტორიდან (ბურუმკახი) №6 სექტორამდე (მჟავე წყალი) სავარაუდო კილომეტრაჟი (საავტომობილო გზის მიხედვით) შეადგენს 24 კილომეტრს;
- პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს თვითოეული შენობა ნაგებობის მიერთება ტრანსფორმატორთან.
- შემსრულებელი უზრუნველყოფს საპროექტო სამუშაოების შესრულებას საკონკურსო განცხადებაზე თანდართული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

ხელშეკრულების ღირებულებაა: 21000.00 (ოცდაერთი ათასი) ლარი.

### 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად მიწოდების ვადა, ფორმა და ხარისხი.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

3.3. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

3.4. შემსყიდველი ან მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი;

3.5. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ შერჩეული ინსპექტირების ჯგუფის მიერ დადასტურებული აქტი.

ინსპექტირების ჯგუფი:

1. შსს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამშენებლო სამმართველოს უფროსი ბესარიონ ლუჭაშვილი.

#### 4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

4.5 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) დღე.

#### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი (სამუშაო) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

#### 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება, მომსახურების გაწევის შემდეგ კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 20 კალენდარულ დღეში.

ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

## 7. ფასები

7.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯერონად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

## 9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

### 10.1. არ გამოიყენება.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა.

11.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11.2. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.3. შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12. დამატებითი პირობები

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეცვალოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საშუალოთა მოცულობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, რის თაობაზეც მიმწოდებელს არ ექნება პრეტენზია იმ შემთხვევაში თუკი შემსყიდველი აუნაზურებს მიმწოდებელს შეცვლილ ღირებულებას;

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

12.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;

12.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;

12.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას;

12.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“;

12.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

მიმწოდებელი ორგანიზაცია:

შსს სახელმწიფო შესყიდვების  
სამმართველოს უფროსი

შ.პ.ს. “ელ ჯორჯია”-ს  
დირექტორი

გიორგი ბაჯელიძე  
  


დემეტრი კუბატაძე  
  
